

ონის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა (შემდგომში-გეგმა) შედგენილია საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებების შესაბამისად.

2. გეგმა ადგენს სარეორგანიზაციო სტრუქტურებს, რეორგანიზაციის ვადებს, გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რეორგანიზაციის პროცესში მერიის საქმიანობის რეჟიმს და მის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს.

მუხლი 2. სარეორგანიზაციო სტრუქტურები

რეორგანიზაცია შეეხება ონის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგ პირველად სტრუქტურულ ერთეულებს:

- ა) ადმინისტრაციული სამსახური;
- ბ) არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;
- გ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
- დ) განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახური.

მუხლი 3. სარეორგანიზაციო ღონისძიებები და ჩატარების ვადები

1. მერიის რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს 2018 წლის 1 მაისამდე.

2. რეორგანიზაციის პროცესში ტარდება შემდეგი ღონისძიებები:

- ა) ონის მუნიციპალიტეტის მერიის, რეორგანიზაციას დაქვემდებარებული პირველადი სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტების მომზადება და რეორგანიზაციის შედეგად შესაქმნელი ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის (საშტატო ნუსხის) შემუშავება, არაუგვიანეს 2018 წლის 1 აპრილისა;
- ბ) რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებისას თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელეთა სიის განსაზღვრა, მათი გაფრთხილება შესაძლო შედეგების შესახებ და მათი მობილობა, არაუგვიანეს 1 მაისისა;
- გ) რეორგანიზაციის შედეგად დარჩენილ ვაკანტურ თანამდებობაზე (არსებობის შემთხვევაში) რეორგანიზაციის დამთავრებისთანავე კონკურსების გამოცხადება.

მუხლი 4. რეორგანიზაციის პროცესში ონის მუნიციპალიტეტის მერიის მუშაობის რეჟიმი

რეორგანიზაციის პროცესში ონის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს მერიისა და სტრუქტურული ერთეულების მოქმედი დებულებებისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად.

მუხლი 5. გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები

1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გეგმის შესრულებას კოორდინაციას უწევს ონის მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც გეგმის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დაცვით საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს.

2. გეგმის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულებაზე პასუხისმგებელია ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, იურიდიული განყოფილება, ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

3. გეგმის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელია ონის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისია.